ქართული ტელევიზიების გავლენა ISIS-ის ტერორისტული ქმედებების შეფასებაზე

სასკოლო
კონფერენცია, 2015

მაკოფნჯვიძე

სარჩევი

სარჩევი 1
შესავალი 2
ჰიპოთეზა 2
კითხვარი 3
კვლევის მეთოდოლოგია 3
შედეგები 5
დასკვნა 19
გამოყენებული მასალა 22

შესავალი

ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენები, ბოლო პერიოდში (აპრილი-მაისი)აქტუალური გახდა. ქართულმა ტელევიზიებმა, აქტიურად დაიწყეს გაშუქება „ისლამური სახელმწიფოს“ ქმედებების შესახებ, რამაც თავისთავად გავლენა იქონია მაყურებელზე. დამაინტერესა ამ საკითხმა, რადგან ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტი და მასთან ერთად ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფო“ 2015 წლის აპრილის თვეში არ გამოჩენილა, რეალურად ეს პრობლემა 2011 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება. აპრილის თვემდე, შეიძლება ითქვას, რომ ქართული ტელევიზიების დღის წესრიგში იშვიათად თუ შედიოდა ISIS-ი(ე.წ. ისლამური სახელმწიფო). უცხოურიმედიასაშუალებები (CNN, BBC, Washington Post, NY Times, Euronews და ა.შ.) , წლებია სირიაში მიმდინარე მოვლენებს აშუქებენ სხვადასხვა რაკურსით და აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აქცენტი მხოლოდ ქრისტიანთა მკვლელობებზე არ კეთდება. ქართულ მედიასაშუალებებში კი ძირითადი აქცენტი კეთდებოდა ქრისტიანების „გენოციდსა“ და პანკისის ხეობიდან ახალგაზრდების სირიაში საბრძოლველად წასვლაზე.

ქართულმა მედია საშუალებებმა მასობრივად დაიწყეს ამ თემის გაშუქება, მხოლოდ მას შემდეგ რაც „რუსთავი-2-ის“ გადაცემა „პ.ს.“-ში გავიდა სიუჟეტი, სადაც საუბარი იყო ასირიელი ქრისტიანების „გენოციდზე“. აქტიური გაშუქების შედეგად, მაყურებელში არა მხოლოდ თანაგრძნობა გამოიწვია არამედ, ამას მოჰყვა მშვიდობიანი აქციები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, სახელმწიფოს მიმართ წამოიჭრა მოთხოვნა ასირიელი ბავშვებისთვის თავშესაფრის მიცემის შესახებ.

კვლევის საშუალებით მინდა ვუპასუხო შემდეგ კითხვებს: <u>რამდენად სწორად გაშუქდა ფაქტები ამ თემაზე; რაზე გაკეთდა ძირითადი აქცენტი; რა დაამახსოვრდა ყველაზე მეტად მაყურებელს; როგორი გამოხმაურება/”Feedback” მოჰყვა ამ თემას სოციალურ ქსელებში და პანკისში; იქონია თუ არა გავლენა მაყურებელზე. - ნეგატიური თუ პოზიტიური.</u>

ჰიპოთეზა

კვლევისგან, როგორც ავტორი ველი, რომ სწორედ „რუსთავი2-ის“ ეთერში გასულმა სიუჟეტმა განაპირობა სხვა ტელევიზიების აქტიური გაშუქება, განწყობების შექმნა

დამოსახლეობის საპროტესტო აქციებიც. ასევე მოლოდინი მაქვს, რომ მოსახლეობას დაამახსოვრდა მხოლოდ ასირიელი ქრისტიანების „გენოციდი“ და პანკისის ხეობიდან ახალგაზრდების „გადინება“ საბრძოლველად სირიაში.

კითხვარი

<u>საკვლევი შეკითხვა</u>- რამდენად სწორად გაშუქდა ფაქტები და რა გავლენა იქონია ქართული ტელევიზიების მიერ ISIS-ის ბოლო დროინდელი ამბის გაშუქებამ საქართველოს მოქალაქეებზე?

კვლევისმეთოდოლოგია

<u>კონტენტ-ანალიზი</u> - რომელი ქართული ტელევიზია („რუსთავი2“, „იმედი“, „მაესტრო“) რა პერიოდულობით აშუქებდა ამ თემას და რაზე კეთდებოდა ძირითადი აქცენტი. ამისათვის ჩავატარე მონიტორინგი ქართული ტელევიზიების - „რუსთავი2“, „იმედი“, „მაესტრო“ – 12 აპრილიდან 12 მაისამდე პერიოდში(12 აპრილიდან ვიწყებ მონიტორინგს, რადგანაც სწორედ 12 აპრილს გავიდა ეთერში „რუსთავი2-ის“ სიუჟეტი, რამაც გამოიწვია ამ თემის თითქმის ყველა ტელეარხის დღის წესრიგში ჩასმა). შევადარე ამ პერიოდში გასული სიუჟეტების რაოდენობა და თუ რაზე გამახვილდა ყურადღება/ რაზე გაკეთდა ძირითადი აქცენტი.

<u>რაოდენობრივი კვლევა</u> - სოციალურ ქსელში ჩავატარე გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 105-მა ადამიანმა. კვლევაში დასმული იყო სულ 9 შეკითხვა, აქედან ერთი კითხვა იყო ღია (თქვენი აზრით რამდენად სწორად გაკეთდა აქცენტი ქართულ ტელევიზიებში ამ თემის გაშუქებისას?). სამიზნე სეგმენტი, იყო ნებისმიერი ვინც სოციალური ქსელის მომხმარებელი იყო, არ ჰქონდა მნიშვნელობა სქესს, ასაკს და სხვა რაიმე მახასიათებელს.

- გსმენიათ თუ არა ახლო აღმოსავლეთში (ისლამური სახელმწიფო, ISIS) მიმდინარე მოვლენებზე?
- რომელი მედიასაშუალებიდან გაიგეთ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე უახლესი მოვლენები?
- ჩამოთვლილთაგან რა დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად, რაზე გაკეთდა უფრო მეტად აქცენტი?

- რომელი არხის სიუჟეტი/გადაცემა დაგამახსოვრდათ ამ თემის ირგვლივ?
- თქვენი აზრით რამდენად სწორად გაკეთდა აქცენტები ქართულ ტელევიზიებში ამ თემის გაშუქებისას?
- იქონია თუ არა თქვენზე გავლენა ტელევიზიაში გასულმა სიუჟეტებმა?
- რამდენად აქტიურად წერდნენ/აზიარებდნენ ამ თემაზე თქვნი მეგობრები სოციალურ ქსელში?
- სოციალურ ქსელში თქვენი მეგობრების დაახლოებით რამდენი პროცენტი წერდა ან აზიარებდა ISIS-ის შესახებ პოსტს?
- რამდენად იყავით თქვენ ამ თემასთან დაკავშირებით აქტიური სოციალურ ქსელებში?

პირველი კითხვა იყო ე.წ. „გამცხრილავი“ - გსმენიათ თუ არა ახლო აღმოსავლეთში (ისლამური სახელმწიფო, ISIS) მიმდინარე მოვლენებზე? რესპოდენტებმა, რომლებიც უპასუხებდნენ, რომ არ სმენიათ არაფერი ავტომატურად ანულირდებოდა მათი პასუხები.

შემდეგი კითხვა იყო თუ რომელი მედიასაშუალებიდან გაიგეს მათ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებზე, რაც შემდგომში რეალურად წარმოაჩენდა განსხვავებას - რა კუთხით შუქდებოდა ქართულ მედიასაშუალებებში და რა კუთხით უცხოურ მედიასაშუალებებში.

მესამე კითხვა („ჩამოთვლილთაგან რა დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად, რაზე გაკეთდა უფრო მეტად აქცენტი?“) უფრო ჩაღრმავებული კითხვაა, რათა უფრო ნათლად მომხდარიყო გამიჯვნა და უკეთესად გამოჩენილიყო, რაზე გაკეთდა ძირითადი აქცენტი. აქვე აღვნიშნავ, რომ სავარაუდო პასუხებში რესპონდენტებს შეეძლოთ რამდენიმე პასუხის ერთდროულად მონიშვნა.

კითხვა, „რომელი არხის სიუჟეტი/გადაცემა დაგამახსოვრდათ ამ თემის ირგვლივ?“ საშუალებას მაძლევდა გამეგო, რომელმა ქართულმა ტელევიზიამ დაამახსოვრა მაყურებელს ყველაზე მეტად თავი.

კითხვები - „თქვენი აზრით რამდენად სწორად გაკეთდა აქცენტი ქართულ ტელევიზიებში ამ თემის გაშუქებისას?“ და „იქონია თუ არა თქვენზე გავლენა ქართულ ტელევიზიაში გასულმა სიუჟეტებმა?“ პასუხს გასცემდა კითხვას, თუ რამდენად სწორ ინფორმაციას ფლობდა

მოსახლეობა ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებზე; იყო თუ არა მათი ინფორმაციის წყარო ამ საკითხზე მხოლოდ ქართული ტელევიზიები (რაც ორივე კითხვის პასუხის შემთხვევაში გამოჩნდებოდა);

„სოციალურ ქსელში თქვენი მეგობრების რამდენი პროცენტი წერდა ან აზიარებდა ISIS-ის შესახებ პოსტს?“ ; „რამდენად აქტიურად წერდნენ/აზიარებდნენ ამ თემაზე თქვნი მეგობრები სოციალურ ქსელში?“; „რამდენად იყავით თქვენ ამ თემასთან დაკავშირებით აქტიური სოციალურ ქსელებში?“ - სამივე ზემოთ ჩამოთვლილი კითხვა საშუალებას მომცემდა გამერკვია დაახლოებით რა რაოდენობის გამოხმაურება მოჰყვა ამ თემას სოციალურ ქსელებში.

<u>თვისებრივი კვლევა</u> - იქიდან გამომდინარე, რომ ამ თემის ირგვლივ ქართულმა ტელევიზიებმა ერთ-ერთი ძირითადი აქცენტი პანკისის ხეობაზე გააკეთეს, მივიჩნიე საინტერესო იქნებოდა ადგილობრივების აზრიც გამოჩენილიყო. სიღრმისეული ინტერვიუ ჩავატარე 3 პანკისელ ახალგაზრდასთან. მათი შერჩევა მოხდა 3 ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით

- პანკისში მცხოვრები (ეს იყო მთავარი კრიტერიუმი, რადგანაც ადგილობრივმა მოსახლეობამ ყველაზე უკეთ იცის თუ რა ხდება რეალურად რეგიონში და რა პრობლემები აწუხებს)
- ახალგაზრდა (15-25 წლამდე) , რადგანაც სწორედ ამ ასაკის ახალგაზრდებზე იყო ძირითადად საუბარი
- მამრობითი სქესი

შედეგები

გაშუქების პერიოდულობა და ძირითადი აქცენტები ქართულ ტელევიზიებში (12 აპრილი - 12 მაისი).

„მაესტრო“ 20 სიუჟეტი - გაშუქების პერიოდი (13 აპრილი - 24 აპრილი)

„იმედი“ 30 სიუჟეტი - გაშუქების პერიოდი (13 აპრილი - 3 მაისი)

„რუსთავი 2“ 65 სიუჟეტი (მასში შედის არა მხოლოდ საინფორმაციო გამოშვებების სიუჟეტები, არამედ გადაცემა “P.S-ის“ და თოქ-შოუ „არჩევანის“ სიუჟეტებიც)- გაშუქების პერიოდი (12 აპრილი - 24 აპრილი)



<u>მონიტორინგის რა პერიოდში ხდებოდა გაშუქება ტელევიზიების მიხედვით:</u>

<u>ძირითადი აქცენტები ტელევიზიების მიხედვით</u>





აღსანიშნავია ტელევიზიებში გასული სიუჟეტის სახელწოდებებიც.

ტელეკომპანია „რუსთავი2-ის“ სიუჟეტებში, პანკისის ხეობის თემის გაშუქებისას ჭარბობდა შემდეგი სახელწოდებები: „პანკისიდან გაუჩინარებული ახლგაზრდების ფოტოები ვრცელდება“; „პანკისის ხეობიდან გაუჩინარებული მოზარდები ოჯახებს უკავშირდებიან“; „პანკისიდან სირიაში ახალი ჯგუფი აპირებს წასვლას“; „პანკისელი უხუცესები სირიაში ახალგაზრდების საომრად გაგზავნას გმობენ და ხელისუფლებას დახმარებას სთხოვენ“; „სკანდალი - 19 წლის პანკისელ ბიჭს სირიაში წასვლას აიძულებენ ან მოკვლით ემუქრებიან“; „P.S პანკისიდან - ადგილი, სადაც ქართველი ახალგაზრდების სირიაში წაყვანა წყდება“; „პანკისში ორგანიზაცია „პანკისელი დედები შვილების გადასარჩენად“ იქმნება“; „ქართველი ახალგაზრდების გზა პანკისიდან სირიამდე - საკუთარი შვილების დასაცავად პანკისელი დედები გაერთიანდნენ“; „პანკისის მოსახლეობა ხელისუფლების აქტიურ მოქმედებებს ითხოვს“; „პანკისელები მტავრობას საზღვრების მკაცრად გაკონტროლებას სთხოვენ“, „სირიაში საბრძოლველად წასული ქართველი ახალგაზრდები - პანკისის ხეობაში პრობლემა ისევ მოუგვარებელია“.

დარჩენილი სიუჟეტების სახელწოდებები, რომლებიც პანკისის ხეობას ეხებოდა, ძირითადად იყო რესპონდენტის ციტირებები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში უფრო ამძაფრებდა

თემატიკას. მაგ: „ეს არის მთავრობის სრული უუნარობის შედეგი,- სერგო რატიანი პანკისიდან ახალგაზრდების სირიაში წასვლაზე“; „პანკისში, უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლის სახლში ტერორისტი ცხოვრობდა- გელა მთივლიშვილი“; „ხელისუფლება უბიძგებს ახალგაზრდებს, რადიკალურ რელიგიურ ექსტრემიზმამდე მივიდეს- ტარიელ სანიკიძე“; „ისლამური სახელმწიფოდან ძალადობრივი იმპორტი საქართველოში მოხდება - აჰმედ ზაკაევის გაფრთხილება“; „დესტაბილიზაციისთვის პანკისის ხეობა რუსეთისთვის არის მოსახერხებელი - აჰმედ ზაკაევი“; „სამართალდამცავებმა არ უნდა დაუშვან ექსტრემიზმის პროპაგანდა- გედევან ფოფხაძე’; „ შსს-ს მფარველობის გარეშე ვერ მოხდება პანკისიდან ახალგაზრდების გაყვანა - გელა მთივლიშვილი“; „მთავრობა უსაფრთხოების კუთხით უპასუხისმგებლოდ იქცევა - ლევან თარხნიშვილი პანკისზე“; „თავის მოჭრით მემუქრებიან, მომაქციოს პოლიციამ ყურადღება - 19 წლის პანკისელი დახმარებას ითხოვს“; „ნუ აკეთებენ აბსურდულ განცხადებებს - პანკისელები მტავრობისგან აგიტატორების გამოვლენას ითხოვენ“; „სახეზეა სახელმწიფო სისტემის გაუმართაობის მთელი ჯაჭვი - ნუგზარ წიკლაური პანკისელ ახალგაზრდებზე“; „ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, პანკისის ირგვლივ ხელოვნური ისტერიაა შექმნილი“; „საქართველოში სუნიტებსა და ვაჰაბიტებს შორის შესაძლოა დაპირისპირება მოხდეს - საალ კასრელიშვილი“; „ისლამურ ქვეყნებში 170 ქართველი წავიდა- მამუკა არეშიძე“.

ტელეკომპანია „რუსთავი2-ის“ სიუჟეტებში, ასირიელი ქრისტიანების თემის გაშუქებისას ჭარბობდა შემდეგი სახელწოდებები: „საქართველოში მცხოვრები ასირიელები „ISIS-ის“ მიერ დევნილ თანამემამულეებზე საუბრობენ“; „თავს აჭრიან, წვავენ, აწამებენ ყველას, რადგანც ისინი არიან ქრისტიანები - მამა სერაფიმე“; „ასურელი ბავშვები შესაძლოა საქართველოში ჩამოიყვანონ“; „გააჩერეთ გენოციდი - სოციალური ქსელების ქართველი მომხმარებლები ასურელების მხარდასაჭერად“; „საქართველოს ხელისუფლება ასურელი ქრისტიანების დასახმარებლად ემზადება“; „აქცია ასურელი ქრისტიანების მხარდასაჭერად“; „ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მოქალაქეთა და მითუმეტეს ქრისტიანთა ტანჯვა-წამება ჩვენთვის სულერთი ვერ იქნება - საპატრიარქო“; „ასურელი ქრისტიანების მხარდასაჭერი აქცია თბილისში’; „შეწყდეს ქრისტიანების გენოციდი სირიაში და ერაყში - ფოთში მდუმარე აქცია მიმდინარეობს“; „ამ წუთებში თბილისში ასურელი ქრისტიანების მხარდამჭერი აქცია

მიმდინარეობს“; „რელიგია არ ქადაგებს მკვლელობას - ასურელების მხადამჭერი აქცია ბათუმში“; „ლიბიაში 30-მდე ქრისტიანი დახოცეს- სკანდალური ვიდეო“;

ტელეკომპანია „რუსთავი2-ს“ მხოლოდ ერთი სიუჟეტი ჰქონდა ამ პერიოდში (12 აპრილი - 12 მაისი), რომელიც საინფორმაციო სახის იყო - „ISIS-სასტიკი ტერორით გამოხატული საფრთხეები თანამედროვე მსოფლიოსთვის.

ტელეკომპანია „მაესტროს“ სიუჟეტებში, პანკისის ხეობის თემის გაშუქებისას ჭარბობდა შემდეგი სახელწოდებები : „პანკისელი მამლუქები“; „“პანკისიდან სირიაში გაყვანილი მოზარდები“; „პანკისის ხეობიდან სირიაში“; „პანკისიდან სირიაში“; „გზა პანკისიდან სირიამდე“; „პანკისელი მამლუქების გზა სირიამდე“; „როგორ შეძლეს მოზარდებმა პანკისიდან სირიაში ჩაღწევა“; „პრობლემები პანკისში“.

ტელეკომპანია „მაესტროს“ სიუჟეტებში, ასირიელი ქრისტიანების თემის გაშუქებისას ჭარბობდა შემდეგი სახელწოდებები: „პეტიცია ასურელი ოჯახების დასახმარებლად“; „ასირიელების წარმომადგენლის შეხვედრა მინისტრთან“, „სოლიდარობა ასურელ ქრისტიანებს“; „ასირიელი დევნილები“.

ტელეკომპანია „იმედის“ სიუჟეტებში, პანკისის ხეობის თემის გაშუქებისას ჭარბობდა შემდეგი სახელწოდებები : „მოზარდების შესვლა ისლამური სახელმწიფოს რიგებში სერიოზული სიმპტომია“; „პანკისელი 16 წლის მუსლიმ კუშტანაშვილისა და 18 წლის რამზან ბაღაკაშვილის ფოტოები გამოჩნდა“; „პანკისიდან სირიაში“; „პანკისიდან სირიაში- მშობლების ინფორმაციით მოხალისედ კიდევ ერთი 18 წლის ახალგაზრდა წავიდა“; „პანკისიდან სირიაში - ექსპერტების შეფასება“; „პანკისიდან სირიაში - მოხალისედ წასული ახალგაზრდები - რა ბერკეტების გამოყენებას გეგმავს მთავრობა?“; „პანკისიდან სირიაში - მინისტრების განცხადებით მთავრობა პრობლემის მოსაგვარებლად აქტიურად მუშაობს“; როგორ ხვდებიან საქართველოდან ახალგაზრდები ცხელ წერტილში“; „როგორ ხვდებიან ქართველი ახალგაზრდები ცხელ წერტილში“; „ახალგაზრდების გადინება სირიაში - ექსპერტები მოსალოდნელ საფრთხეებზე საუბრობენ“; „რა აწუხებთ ყველაზე მეტად პანკისელებს“;

ტელეკომპანია „იმედის“ სიუჟეტებში, ასირიელი ქრისტიანების თემის გაშუქებისას ჭარბობდა შემდეგი სახელწოდებები: „საქართველოს ხელისუფლება მზად არის სირიისა და ერაყის მოქალაქეებს თავშესაფარი მისცეს“; “საქართველოში 500-მდე ოჯახი მზადყოფნას გამოთქვამს ასირიელთა შვილები შეიფაროს”; “ასირიელ ქრისტიანთა დასახმარებლად საქართველოს ხელისუფლება კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგამს”; “სირიის მოვლენები - სოლიდარობის აქცია თბილისში”; “ამ წუთებში სირიაში მიმდინარე მოვლენებს აპროტესტებენ მრგვალ ბაღში”; საქართველოს საპატრიარქოში საგანგებო განცხადება გაკეთდა”; “სოლიდარობის აქცია თბილისში”; “ასირიელი ლტოლვილებისათვის საქართველოში თავშესაფრის მინიჭების საკითხი”; “რიჩარდ ნორლანდი იმედოვნებს, რომ ლტოლვილები საქართველოში თავშესაფარს ნახავენ”; “ასირიელი ლტოლვილებისთვის საქართველოში თავშესაფრის მინიჭების საკითხი”; “თავშესაფარი ასურელ ბავშვებს - მოქალაქეების აქცია თბილისში”; “შეწყდეს ასურელი ქრისტიანების დევნა - აქცია ქუთაისში’; “სირია - ერაყში დაღუპულები - გარდაცვლილ მართლმადიდებელთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი”.

ტელეკომპანია “იმედის” ეთერში გასული საინფორმაციო სახის სიუჟეტების სახელწოდებები: “ომი სირიასა და ერაყში - ალეპოში ავიაიერიშის შედეგად ბომბი სკოლას დაეცა - 13 დაღუპულიდან 5 მოსწავლეა”; “დასავლეთი და “ისლამური სახელმწიფო” – “ამერიკის ხმის” რეპორტაჟი “ქრონიკისთვის”; “ისლამური სახელმწიფო - გავლენიანი ტერორისტული ორგანიზაცია და მისი არსებობის ისტორია”; “რითი საზრდოობს მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ტერორისტული ორგანიზაცია?”; “ისლამური სახელმწიფო - ჯიჰადისტებმა 30 ეთიოპიელი ქრისტიანი მოკლეს”; “რადიკალტა დაპირისპირება - ისლამურმა სახელმწიფომ თალიბანს ჯიჰადი გამოუცხადა”; “თარხან ბათირაშვილის გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია პანკისის ხეობაშიც გავრცელდა”; “გავრცელებული ინფორმაციით ისლამური სახელმწიფოს ერთ-ერთი გავლენიანი ლიდერი მოკლულია”; “ალ-შიშანის ძებნა - ამერიკამ თარხან ბათირაშვილზე ინფორმაციის სანაცვლოდ 5 მილიონი ჯილდო დააწესა”.

სამი ტელეკომპანიის მონიტორინგის შედეგად, შესაძლებელია ვთქვა, რომ შედარებით ობიექტურობა და ნეიტრალური პოზიცია ეკავა ტელეკომპანია “იმედს”, რომელიც არ

გამოირჩეოდა სენსაციური და რეიტინგზე ორიენტირებული სახელწოდებებით ("იმედის კვირის" გამოკლებით). ამასთანავე, ტელეკომპანია "იმედს" მონიტორინგის პერიოდში (12 აპრილი - 12 მაისი) ჰქონდა რაოდენობრივად ყველაზე მეტი საინფორმაციო სახის სიუჟეტი ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ტელეკომპანიების გადაცემებს მათში ჭარბობდა შემდეგი აქცენტები:

ტელეკომპანია "რუსთავი 2" კი გამოირჩეოდა, სენსაციური და რეიტინგზე ორიენტირებული სახელწოდებებით. ამას გარდა, გადაცემა "P.S"-ში გასულ სიუჟეტში (12 აპრილის გადაცემა), გაავრცელეს ვიდეო, სადაც ეთერში გაშვებამდე ჟურნალისტი ამბობს "ბავშვები დახმარებას ითხოვენ, ამას არ სჭირდება თარგმნა". ეს ვიდეო თოქ-შოუ "არჩევანშიც" გაავრცელეს, 14 აპრილს გასულ გადაცემაში. ვიდეოში ჩანს, აცრემლიანებული პატარა ბიჭი, რომელიც ჩემთვის უცნობ ენაზე საუბრობს. ინტერნეტში მარტივი ძიების შედეგად, ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ ვიდეო პორტალზე (Youtube), აღმოვაჩინე ეს ვიდეო, რომელიც 2013 წელს არის ატვირთული, შესაბამისად 2015 წელს ის ვერ იქნება ახალი ამბის მთხრობელი. ამასთანავე, ვიდეოს ადევს ინგლისური სუბტიტრები, თუმცა ტიტრების გარეშეც კარგად ისმის, როგორ ახსენებს ბავშვი ბაშარ ალ ასადს (Bashar Al-Assad), რომელიც სირიის პრეზიდენტია. ტიტრებიდან ირკვევა, რომ სირიის პრეზიდენტი მათ ავიწროვებს. რეალურად მაყურებლისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს ბავშვს სირიის პრეზიდენტი შეავიწროვებს თუ ტერორისტი, მაგრამ ამ შემთხვევაში მედიამ არასწორად გაავრცელა ეს ინფორმაცია და მაყურებელი შეცდომაში შეიყვანა. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ არსად ჩანს და არავინ ასაბუთებს იმას, თუ რა მტკიცებულებების შედეგად დადგინდა ამ ბავშვის რელიგია და ეთნიკური წარმომავლობა, რადგანაც გადაცემაში არაერთხელ ითქვა, რომ ეს ბავშვი ასირიელი ქრისტიანია, რომელსაც დევნის ტერორისტული დაჯგუფება ე.წ. "ისლამური სახელმწიფო", დევნის ძირითადი მოტივი კი მისი აღმსარებლობაა.

19 აპრილს, "იმედის" ეთერში გავიდა თოქ-შოუ "იმედის კვირა", სადაც გაკეთდა სპეციალური სიუჟეტი, რომელიც პანკისის ხეობას ეხებოდა. სიუჟეტი იწყება ჟურნალისტის სიტყვებით " იმამი დღეში ისევ 5-ჯერ ლოცულობს, ისევ შრომობენ, სწავლობენ, თამაშობენ, <u>ისევ ამტკიცებენ რომ დანარჩენი საქართველოსთვის საფრთხეს არ წარმოადგენენ".</u> სიუჟეტის გასვლის შემდეგ, ერთ-ერთი წამყვანი იწყებს საუბარს ასირიელებზე, რომლებიც ერაყსა და

სირიაში ცხოვრობენ. (მამა სერაფიმე, რომელიც რუსთავი2-საც ჰყავდა იმედის კვირაში აცხადებს, რომ მას არ აქვს სირიელ ასურელებთან კონტაქტი, ის ერაყში მცხოვრებ ასურელებს ეკონტაქტება, თუმცა ამ განცხადებამდე აქტიურად ვრცელდებოდა ინფორმაცია რომ მას სირიაში მცხოვრები ასირიელები აწვდიდნენ ინფორმაციას). წამყვანი ეკითხება სტუმარს - " როგორია დღეს მათი ყოფა, რა ხდება დღეს როდესაც ისინი ჯოჯოხეთში არიან პირდაპირ?"

რაც შეეხება თოქ-შოუ "არჩევანს", 14 აპრილის გადაცემა დაეთმო როგორც პანკისის ხეობას, ასევე ასირიელ ქრისტიანებსაც. ასირიელ ქრისტიანებთან დაკავშირებით, წამყვანს სტუმრად ჰყავდა მოწვეული მამა სერაფიმე. სანამ წამყვანი სტუმართან შეკითხვით გადავიდოდა, მან ხაზი გაუსვა რომ ტერორისტული დაჯგუფება "ისლამური სახელმწიფო" არა მხოლოდ ქრისტიანებს ხოცავს არამედ ნებისმიერი რელიგიის მიმდევარს".

სოციალურ ქსელში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები



რომელი მედიასაშუალებიდან გაიგეთ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე უახლესი მოვლენები?



ჩამოთვლილთაგან რა დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად, რაზე გაკეთდა უფრო მეტად აქცენტი?



რომელი არხის სიუჟეტი/გადაცემა დაგამახსოვრდათ ამ თემის ირგვლივ?



	რუსთავი 2	იმედი	მაესტრო	სხვა	არცერთი
რომელი არხის სიუჟეტი/გადაცემა დაგამახსოვრდათ ამ თემის ირგვლივ?	73	6	3	14	9

თქვენი აზრით რამდენად სწორად გაკეთდა აქცენტი ქართულ ტელევიზიებში ამ თემის გაშუქებისას?



აქვეაღვნიშნავ, რომამკითხვაზევინცპასუხობდა, რომარასწორადგაშუქდაესსაკითხიუმეტესობახაზსუსვამდაიმფაქტს, რომპოლიტიკურიაქცენტებიკეთდებოდასიუჟეტებში.

ასევეგამოკითხულთაუმეტესობამაღნიშნა,

რომქართულმატელევიზიამსრულიადსხვააქცენტიგააკეთატერორისტულორგანიზაცია ISIS-ზეუცხოურმაკისრულიადსხვა.





რამდენად აქტიურად წერდნენ/აზიარებდნენ ამ თემაზე თქვნი მეგობრები სოციალურ ქსელში?



რამდენად იყავით თქვენ ამ თემასთან დაკავშირებით აქტიური სოციალურ ქსელებში?



სიღრმისეული ინტერვიუს შედეგები:

როგორც უკვე აღვნიშნე სიღრმისეული ინტერვიუ ჩავატარე 3 პანკისში მცხოვრებ ბიჭთან. პირველი კითხვა ეხებოდა პანკისიდან ახალგაზრდების მასობრივ წაყვანას. როგორც ქართული ტელევიზიები ავრცელებდნენ პანკისში აგიტაციას უწევდნენ ახალგაზრდებს, რათა ტერორისტულ ორგანიზაცია ISIS-ში გაერთიანებულიყვნენ. ამასთანავე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა იძულებით მიჰყავდათ სირიაში საბრძოლველად სწორედ ამ თემაზე ვკითხე რესპოდენტებს თუ რამდენად შეესაბამებოდა ესინფორმაცია სიმართლეს. სამივე რესპოდენტმა მიპასუხა, რომ მათ ირგვლივ არ ყოფილა მსგავსი ფაქტი, როდესაც ახალგაზრდას აიძულებენ წავიდნენ სირიაში. რაც შეეხება საკუთარი ნებით წასულ პანკისელ ახალგაზრდებს, მათი თქმით ისინი თავიანთი რწმენის გამო მიდიან და არანაირი სხვა მიზანი მათ არ ამოძრავებთ.

„არავისარუნდათავისიშვილისაზარბაზნეხორცადგაუშვასომში, ამასგეუბნებიმილიონიპროცენტით, ისინივინცმიდიან, ყოველშემთხვევაშიუმეტესინაწილიოჯახისგანმალულად მიდის.“

“აგიტაციას არავინ არ უკეთებს, ჯიჰადი (წმინდა ომი) სადაც გამოცხადდება მანდ მასიურად მიდიან მუსულმანები და არავინ გეუბნება წადიო, ყველა თავისი ნებით მიდის. და ჯიჰადში ვინც სუფთა გულით მიდის ის არასდროს არ მიდის იმის იმედით, რომ უკან დაბრუნდება, მაგ ომში სიკვდილი უნდათ და ვისაც წასვლა უნდა ის ჩვეულებრივ უკავშირდება მათ და ეუბნება, რომ წასვლა უნდა.”

ასევე დავინტერესდი 19 წლის პანკისელი ბიჭის ისტორიით, რომლის შესახებაც ინფორმაცია „რუსთავი2-მა“ გაავრცელა. სიუჟეტში 19 წლის ახალგაზრდა ამბობს, რომ თუ ის საბრძოლველად არ წავა სირიაში მას მოკვლით ემუქრებიან და ის დახმარებას ითხოვდა. ორმა რესპონდენტმა მიპასუხა, რომ ისინი იცნობდნენ ამ ადამიანს და ეს არ შეესაბამებოდა სიმართლეს, ერთ-ერთმა რესპოდენტმა საუბარში აღნიშნა, რომ -

„ეს იყო დადგმული სპექტაკლი, ამ რეპორტაჟის მერე ამ ბიჭმა პანკისში გაავრცელა ვიდეო,სადაც ქისტურად ლაპარაკობს და ბოდიშს იხდის ამ სიუჟეტის გამო.“

შემდეგი კითხვა ეხებოდა პანკისიდან სირიაში წასვლის საშუალებებს რამდენად სიმართლეა, რომ სირიაში საბრძოლველად წასვლა ძალიან მარტივად ხდება პანკისის ხეობიდან და თუ იცნობენ იმ ადამიანებს ვინც პანკისიდან წავიდა საბრძოლველად. როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, სრულწლოვანს ისედაც თავისუფლად შეუძლია ქვეყნის დატოვება და მათი კონტროლი ვერ მოხდება. გამოკითხულთაგან მხოლოდ ერთმა მიპასუხა, რომ მისი ორი მეგობარი წავიდა საბრძოლველად სირიაში, ორივე არასრულწლოვანია ერთი გოგონა და ერთი ბიჭი. მისი თქმით

„ბიჭი ოჯახს გაეპარა და ჩუმად წავიდა, როგორ და რანაირად არ ვიცი, რაც შეეხება გოგოს, ის მშობლების ნებართვით წავიდა“.

მისი თქმით, არცერთ წასულს არ აქვს ოჯახთან დაკავშირების პრობლემა და არ სჭირდებათ როგორც თვითონ ამბობს, არავის ნებართვა. რესპონდენტის თქმით, მისი მეგობრები სირიიდან არა მხოლოდ ოჯახს არამედ მასაც და სხვა მეგობრებსაც უკავშირდებიან ინტერნეტის საშუალებით.

სამივე რესპოდენტმა აღნიშნა, რომ ახალგაზრდების გადინება სირიაში რამდენიმე ფაქტორით არის გამოწვეული. ერთ-ერთ მიზეზად ასახელებენ შემდეგს :

„ისფაქტირომ ბევრიახლობელი,ძმაკაციანნათესავიჰყავთომისეპიცენტრშიესდიდწილადგანსაზღვრავსმათმ იმართებასამსაკითხისადმიდაუფრომარტივადმიდიანიმაზრამდე, რომუნდაწავიდნენ საბრძოლველად. იქქისტებიდანარავინრომარყოფილიყოომშიჩართულიეჭვიმეპარებაიმრაოდენობითჩასულიყ ვნენსაომრადროგორცეხლაა. რაც შეეხება თარხან ბათირაშვილის ფაქტორს, ამან შეიძლება მოზარდებზე იქონიოს რაიმე გავლენა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ მისი კულტი არის პანკისში შექმნილი და მის გამო დაირაზმნენ ახალგაზრდები“.

რაც შეეხება მეორე მიზეზს, მათი თქმით :

„არავინ არ აქცევს პანკისს ყურადღებას, სპორტის დარგაზი რომ დარგაზია,იმასაც ძლივს აკეთებენ ახლა, არადა ფიზიკური სიძლიერით გამოირჩევიან პანკისელი ახალგაზრდები, მაგრამ მთავრობა არ აქცევს ყურადღებას, მიტოვებულია აქაურობა!“

დასკვნა

ტელევიზიებზე მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ რუსთავი2-მა ყველაზე მეტი რაოდენობის სიუჟეტი გაუშვა ამ საკითხთან დაკავშირებით (65), ძირითადი აქცენტი პანკისის ხეობაზე გაკეთდა, რაც ნათლად გამოჩნდა სიუჟეტის სათაურებსა და მათ შინაარსში. სიუჟეტების რაოდენობის მხრივ მას მოჰყვება ტელეკომპანია „იმედი“ (30), ძირითადი აქცენტი მათაც პანკისის ხეობაზე გააკეთეს. ხოლო ბოლოს მოდის ტელეკომპანია „მაესტრო“ (20), ძირითადი აქცენტი აქაც პანკისის ხეობაზე გაკეთდა.

ყველაზე მეტად კი მაყურებელს დაამახსოვრდა ასირიელების გენოციდი და პანკისის ხეობიდან სირიაში წასული ახალგაზრდების თემა. რაც ასევე დიდწილად რუსთავი2-ის დამსახურებაა, რადგანაც გამოკითხულთა უმეტესობას (73 რესპონდენტს) სწორედ რუსთავი2-ის სიუჟეტი/გადაცემა დაამახსოვრდა, რაც კვლევის ჩატარებამდე ჰიპოთეზაში აღვნიშნე.

გამოკითხულთა 64%-ს კი მიაჩნია, რომ მოვლენები სწორად გაშუქდა. მათ პასუხებში ჭარბობდა შემდეგი არგუმენტები - “სწორადგაკეთდაყველამუნდაგაიგოსრომქრისტიანებსხოცავენ“; “ნათლად გამოჩნდა მთავრობის უმოქმედობა”; “ჩემიაზრითსწორადგაკეთდააქცენტი, მეყოველთვისვამოწმებმიღებულინფორმაციასდავადარებდასავლურტელევიზიებს”; “მამა სერაფიმეს წყალობით 10/10”; “სწორადრათქმაუნდა, ნათლადაჩვენაპანკისშიმიმდინარეპრობლემები”.

83 რესპონდენტი ამბობს, რომ ტელევიზიაში გასულმა სიუჟეტებმა მათზე გავლენა მოახდინა, 51%-მა კი საკუთარ ფეისბუქის გვერდზე ამ თემის ირგვლივ იაქტიურა.ასევე აქტიურად ეხმაურებოდნენ მათი მეგობრები ფეისბუქზე.მათმა უმრავლესობამ რუსთავი2-ის

სიუჟეტებიდან შეიტყვეს ახო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებზე, სწორედ ამან განაპირობა ის, რომ 64%-ს მიაჩნია, რომ ინფორმაცია სწორად გაშუქდა.

რაც შეეხება იმ რესპონდნენტებს, რომლებმაც მიუთითეს, რომ უცხოური მედიასაშუალებებიდან გაიგეს ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებზე, მათზე მეტ-ნაკლებად გავლენა არ მოუხდენია ქართულ ტელევიზიებში გასულ სიუჟეტებს. ამასთანავე მათმა უმეტესობამ აღნიშნა, რომ ქართულმა ტელევიზიებმა არასწორად გააშუქეს მოვლენები.

სიღრმისეული ინტერვიუებიდან ნათლად გამოიკვეთა, რომ პანკისელებს არავინ ემუქრება მოკვლით თუკი ისინი არ წავლენ სირიაში საბრძოლველად, რაც რუსთავი2-ის რამდენიმე სიუჟეტში იხილა მაყურებელმა. რესპონდენტების თქმით, პანკისში სრულიად სხვა პრობლემებია, ახალგაზრდებისთვის არ არსებობს რეგიონში რაიმე სპორტული ტიპის დარბაზი, მთავრობისგან არ აქვთ ხელშეწყობა და რეგიონი არ ვითარდება, რაც აისახება კიდევაც პანკისში მიმდინარე მოვლენებზე.

შესაბამისად შეიძლება ვთქვა, რომ ჩემი ჰიპოთეზა გამართლდა. სწორედ „რუსთავი2-მა“ წამოჭრა ეს თემა და მის ეთერში გასულმა სიუჟეტებმა განაპირობეს შემდეგ სხვა ტელევიზიების სიუჟეტები. გამოკითხულთა უმეტესობას კი მართლაც სწორედ ის ორი თემა დაამახსოვრდა რაც ჰიპოთეზაში აღვნიშნე - “პანკისის ხეობიდან ახალგაზრდების “გადინება” სირიაში” და “ასირიელი ქრისტიანების “გენოციდი””.

შეიძლება ითქვას, რომ ქართული ტელევიზიების მიერ ISIS-ის ბოლო დროინდელი ამბების გაშუქებამ ერთის მხრივ მოქალაქეების ნაწილშიგამოიწვია მოსაზრება, რომ ტერორისტული ორგანიზაციის მიზანია ქრისტიანების გენოციდი, მეორეს მხრივ კი პანკისში ახალგაზრდები იძულებით მიჰყავთ სირიაში საბრძოლველად რეალურად კი ძირითადი პრობლემები და ძირითადი ინფორმაცია ამ ორ საკითხზე ყურადღების მიღმა დარჩა. მოსახლეობის უმეტესობა არ არის ინფორმირებული რეალურად რას წარმოადგენს ტერორისტული ორგანიზაცია ე.წ. “ისლამური სახელმწიფო”, რა საფრთხეს წარმოადგენს, რა სურს მათ, როდიდან დაიწყო ეს კონფლიქტი, ვინ არიან კონფლიქტის მხარეები, ხდება თუ არა მხოლოდ საქართველოდან “ისლამური სახელმწიფოს” რიგებში გაერთიანება. მაყურებელმა ვერ მიიღო

ვრცელი ინფორმაცია იმაზე, თუ რამ გამოიწვია პანკისიდან ახალგაზრდების წასვლა, ვერ მიიღო ასევე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ "ისლამური სახელმწიფო" არ ებრძვის მხოლოდ ქრისტიანებს, არამედ ისინი ხოცავენ მაჰმადიანებსაც და სხვა ნებისმიერი რელიგიის წარმომადგენლებსაც. ყურადღების მიღმა დარჩა ასევე კონფლიქტის ისტორიაც, როდის დაიწყო ჯიჰადი, როგორ ვითარდებოდა წელბის მანძილზე და რა ეტაპზეა ახლა. შესაძლებელი იყო მიეწოდებინათ ინფორმაცია, თუ რას აკეთებს მსოფლიო მათ შესაჩერებლად, რა საშუალებებით ებრძვიან, რა ვითარებაა სხვა ქვეყნებში, ხდება თუ არა ეს კონფლიქტი მხოლოდ სირიაში და არსებობს თუ არა სტატისტიკა საქართველოს მოსახლეობის რამდენი პროცენტია ვაჰაბისტი?

გამოყენებულიმასალა

Maestro.ge

Rustavi2.com

Imedi.ge

ინტერმედია

რადიო თავისუფლება

Burusi.wordpress.com

Wikipedia.com

სირიელი ბავშვის ვიდეო